საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1703

29/12/2021

ქ. თბილისი

**ქ. ქუთაისში შპს ,,ბაჯოს'' ტყავის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. ქუთაისში შპს ,,ბაჯოს'' ტყავის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N64 (21.12.2021);
2. შპს ,,ბაჯო'' ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N64 (21.12.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ბაჯოს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ბაჯოს'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი